

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილობა,
თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტის უკანონოდ ცნობა, იძულებითი განაცდურის
ანაზღაურება



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა *
საქართველოს სახელით

№3ვ/აღ-48-კ-03

20 ოქტომბერი, 2003 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა
შემადგენლობა: ბადრი მატრეველი (თავმჯდომარე),
ვალერი ხრუსტალი,
მერაბ ტურავა,
გიორგი ქაჯაია (მომხსენებელი),
როზა ნადირიანი,
ნანა კლარჯეიშვილი,
ბესიკ კობერიძე,
ირაკლი ბიბილაშვილი,
მურმან ისაევი

სხდომის მდივანი – ნინო კორძაძე

კასატორი – მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, წარმომადგენლები: ქ. ჩ.-ი,
ვ. რ.-ი, ი. ნ.-ი

მოწინააღმდეგე მხარე - შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორი –

მოსარჩელე – ქ. ა.-ა

თანამოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო საატესტაციო
კომისია, წარმომადგენელი ქ. ჩ.-ი

მესამე პირი – ე. ნ.-ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული
სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 11 დეკემბრის
გადაწყვეტილება.

* ამ საქმესთან დაკავშირებით იხ. სუსგ 2003, № 9, ადმინ., გვ. 2297-2301.

დავის საგანი – საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, უფრო ხელსაყრელი ადმინისტრაციული აქტის გაცემა, თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტის უკანონოდ ცნობა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2002 წლის 1 აგვისტოს ქ. ა.-მ სარჩელით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწინდის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა კონკურსის ჩაშლილად ცნობის ნაწილში, ხელსაყრელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა მისი მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოს მრჩევლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის საფუძველზე მისი განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, იუსტიციის მინისტრის 1998 წლის 18 მაისის №31 ბრძანების ბათილად ცნობა და შესაბამისად ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იმ საფუძველზე, რომ იგი 1992 წლიდან 1998 წლის 18 მაისამდე მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის იგნორირებით იგი განთავისუფლეს მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოს მრჩევლის თანამდებობიდან, სადაც მუშაობდა 1995 წლიდან. ამავე კანონის 115-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად არ ჩარიცხეს რეზერვში. განთავისუფლებიდან რამოდენიმე დღეში კი მის ადგილზე ახალი თანამშრომელი დანიშნეს. მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე, იუსტიციის მინისტრის №39 ბრძანებით, 1998 წლის 18 მაისიდან ჩარიცხა სამინისტროს საკადრო რეზერვში.

2002 წლის 13 აპრილს გაზეთ „ს.“-ში გამოცხადდა კონკურსი მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოს მრჩევლის ორ საშტატო ერთეულზე, რომელშიც მონაწილეობა ქ. ა.-მაც მიიღო და დადებითი შეფასება დაიმსახურა, მოგვიანებით კი აცნობეს, რომ „წარმოდგენილ კანდიდატთაგან ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭების შეუძლებლობის გამო მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოს მრჩევლის ერთ საშტატო ერთეულზე კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად“ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად თანაბარი პირობების შემთხვევაში სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა ეძლევა „იმ პირს, რომელსაც დაწესებულებაში უფრო ხანგრძლივი სტაჟი აქვთ“. ამიტომ მოსარჩელისათვის გაურკვეველია, რატომ არ შეირჩა მისი კანდიდატურა თავისუფალ ვაკანსიაზე.

კრწანისი-მთაწინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 5 აგვისტოს განჩინებით ქ. ა.-ს სარჩელი განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ აღნიშნა, რომ „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სამინისტრო წარმოადგენს სამთავრობო დაწესებულებას, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად მინისტრის ბრძანება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, მისი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად განეკუთვნება იმ დავათა კატეგორიას, რომელიც

განხილული უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. იმავე კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე სარჩელების განხილვა საოლქო სასამართლოს პირველი ინსტანციის წესით განსჯადი დავებია. ამავე კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად სარჩელი უნდა წარედგინოს უფლებამოსილ სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო თვითონ გადაუგზავნის მას საქმეს.

ქ. ა.-ს სარჩელზე თბილისის საოლქო სასამართლოში მოპასუხემ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა შესაგებელი, რომელშიც აღნიშნა, რომ ქ. ა.-ს ზემოხსენებული მოთხოვნები არაერთხელ იქნა დაყენებული ყველა ინსტანციის სასამართლოს წინაშე, ისინი არცერთხელ არ იქნა დაკმაყოფილებული და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა. საქმეში ახალ მხარესთან – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიასთან მიმართებაში კი განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 28 აპრილის №49 ბრძანების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას არ გააჩნია არც იურიდიული და მითუმეტეს არც ფიზიკური პირის სტატუსი, შესაბამისად იგი ვერ იქნება მხარე პროცესში, რადგან არ არსებობს არავითარი სამართლებრივი საფუძველი მისი ადმინისტრაციულ პროცესში მხარის ან მესამე პირის სტატუსით მონაწილეობისა. მოპასუხისათვის გაურკვეველია, თუ რის საფუძველზე დაასკვნა მოსარჩელემ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მას რეზერვში ჩარიცხვის შესახებ განცხადებაზე ეთქვა უარი, როცა არსებობს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 14 მარტის №39 §11 ბრძანება „ქ. ა.-ს სამინისტროს მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის თაობაზე“, რომელსაც საფუძველად დაედო მისივე განცხადება საკადრო რეზერვში ჩარიცხვის შესახებ. საკონკურსო საატესტაციო კომისიამ ქ. ა.-ს კანდიდატურა იმიტომ არ წარადგინა ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად, რომ მას არ ჰქონდა კარგი საქმიანი რეპუტაცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქ. ა.-ს გამო წლების მანძილზე უხდებათ სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში სიარული იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებს და მისი დანიშვნა თანამდებობაზე ქმნის უხერხულ მომენტებს.

მოპასუხემ აგრეთვე მიუთითა, რომ ქ. ა.-ს 2002 წლის 23 აგვისტოს, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობის კეთილი ნების საფუძველზე, შესთავაზეს ტოლფასი თანამდებობა, კერძოდ, ნორმატიული აქტების რეგისტრაციის, კოდიფიკაციისა და სამართლებრივი ინფორმატიზაციის დეპარტამენტის მრჩევლის თანამდებობა, რაზედაც მან კატეგორიული უარი განაცხადა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 14 ნოემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმული იქნა ე.ნ.-ი – იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოს მრჩეველი, რადგან სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეხებოდა ე. ნ.-ის ინტერესებს.

2002 წლის 28 ნოემბერს მოსარჩელე ქ. ა.-მ წარმოადგინა დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც გაზარდა მოთხოვნები და პირვანდელ სასარჩელო მოთხოვნებთან ერთად ითხოვა იუსტიციის სამინისტროს მხრიდან წლების განმავლობაში მიყენებული სულიერი ტკივილის,

ტანჯვის, წამების, პატივისა და ღირსების შელახვის, შრომის უფლების წართმევის გამო მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 20.000 ლარის ოდენობით.

2002 წლის 28 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაბმული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია – თანამოპასუხედ.

2002 წლის 11 დეკემბერს ქ. ა.-მ შუამდგომლობით მიმართა სასამართლო კოლეგიას, რომლითაც ითხოვა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის განუხილველად დატოვება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. ა.-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, საქმის წარმოება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის საფუძველზე განთავისუფლების უკანონოდ ცნობის, იუსტიციის მინისტრის 1998 წლის 18 მაისის №31 ბრძანების ბათილად ცნობისა და შესაბამისად, სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2002 წლის 14-25 ივნისის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმი №ნ-ის გადაწყვეტილება მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციის, იმიგრაციის საკითხთა და ნოტარიატის დეპარტამენტის ერთი საშტატო ერთეულზე კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების ნაწილში და საქართველოს იუსტიციის მინისტრს დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამავე სამინისტროს რეზერვისტის ქ. ა.-ს მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციისა და იმიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა სამმართველოს მრჩევლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და ითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 21 ოქტომბრის განჩინების* საფუძველზე საქმის განსჯადობით განსახილველად კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოსათვის დაბრუნება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეგებებული საკასაციო საჩივარი შემოიტანა ქ. ა.-აც და მოითხოვა მისი სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება, ამავე დროს, განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დამატებით განმარტა, რომ საოლქო სასამართლოში იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა მოცემული საქმე სწორედ საოლქო სასამართლოს განსჯად საქმედ მიიჩნია. თუ იუსტიციის სამინისტრო თვლიდა, რომ საქმე არ იყო საოლქო სასამართლოს განსჯადი, შეეძლო მოეთხოვა განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა თუნდაც 2002 წლის 11 დეკემბრის მთვარ სხდომაზე მითუმეტეს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს დიდ პალატას 2002 წლის 21 ოქტომბერს უკვე ჰქონდა მიღებული ამ კატეგორიის საქმეზე განჩინება. ქ. ა.-მ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან იუსტიციის სამინისტრო ადასტურებდა – მოცემული საქმე საოლქო სასამართლოს განსჯადი იყო, სასამართლო კოლეგიამ ამიტომ აღარ მიმართა ზემდგომ სასამართლოს განსჯადობის შესახებ

* იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებანი 2001-2002, გვ. 64.

დავის გადაწყვეტის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ა.-მ ითხოვა კასატორის მოთხოვნა საქმის განსჯადობის რაიონული სასამართლოსათვის გადაგზავნის თაობაზე არ დაკმაყოფილებულიყო.

საქმის განხილვის პროცესში საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომართა საქართველოს სახალხო დამცველმა ნ. დევდარიანმა, რომელმაც ქ. ა.-ს განცხადების საფუძველზე ითხოვა მოცემული საქმის განსახილველად დიდი პალატისათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრისა და შეგებებული საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქ. ა.-ს შეგებებული საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნოს ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

დიდი პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიამ არასწორად განმარტა კანონი, დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, რის შედეგადაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

მოსარჩელე ქ. ა.-ს სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების ბათილობა კონკურსის ჩაშლილად ცნობის ნაწილში;

ბ) უფრო ხელსაყრელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა (მოსარჩელის მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოს მრჩევლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ);

გ) მოსარჩელის თანამდებობიდან განთავისუფლების ფაქტის უკანონოდ ცნობა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან მთელი პერიოდის განმავლობაში.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ ქ. ა.-ს სასარჩელო მოთხოვნები მათი სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე მიმართულია მოპასუხესთან შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის დადებისაკენ. დიდი პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება მუშაკის სამუშაოზე მიღების ან გათავისუფლების შესახებ არის ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც, თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლისა, მიმართულია საჯარო შრომითი ურთიერთობის წარმოშობისაკენ ან შეწყვეტისაკენ. შესაბამისად, მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტის უკანონოდ ცნობა, რაც ფაქტობრივად საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1998 წლის 18 მაისის №31 ბრძანების გაუქმების მოთხოვნას წარმოადგენს და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა მოსარჩელის მითითებულ თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე ადმინისტრაციული გარიგების დადებისაკენ მიმართული მოთხოვნებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა ვერ დაეთანხმება სასამართლო კოლეგიას, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება ქ. ა.-დ თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს წარმოადგენს და მოცემული საქმე საოლქო სასამართლოს განსჯად საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება.

დიდი პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული გარიგება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება. სწორედ აღნიშნული გარემოებებზე დაყრდნობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ 2002 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება მუშაკის სამუშაოზე მიღების ან განთავისუფლების თაობაზე მიჩნეული იქნა არა ადმინისტრაციულ აქტად, არამედ ადმინისტრაციულ გარიგებად.

განსჯადობის შესახებ ქ. ა.-ს მოსაზრებასთან დაკავშირებით დიდი პალატა აღნიშნავს, რომ როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა სასამართლოს კოლეგიისა და იუსტიციის სამინისტროსათვის მოცემული საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროისათვის ზემოთმითითებული დიდი პალატის 2002 წლის 21 ოქტომბრის განჩინების თაობაზე ცნობილი არ იყო. ამდენად, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს იმის თანხმობად, რომ აღნიშნული საქმე არაგანსჯადი სასამართლოს მიერ ყოფილიყო განხილული.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობას წარმოადგენს ადმინისტრაციული გარიგება – ადმინისტრაციული ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის საჯარო შრომითი ურთიერთობა, ხოლო დავის საგანს – ადმინისტრაციული გარიგების დადება. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობის არსისა და დავის საგნის მიხედვით ქ. ა.-ს სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს და საქმე განსახილველად ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს უნდა დაექვემდებაროს. ამავდროულად იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური საფუძველი, დიდი პალატა არ მიიჩნევს საჭიროდ იმსჯელოს საკასაციო საჩივრისა და შეგებებული საკასაციო საჩივრის საფუძვლებზე და შეამოწმოს სააპელაციო სასამართლოს განჩინება სამართლებრივი თვალსაზრისით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-5, 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ქ. ა.-ს შეგებებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე

განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნოს ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება